„თავმოწონა და ცხოვრება“

= 1910 =

1. [redacted]
№ 28, 29, 32, 33
03.13.16.

2. [illegible]
№ 25
03.16

3. [illegible]
№ 37, 03.3

4. [illegible]
№ 33

5. [illegible]
№ 9. 03.13

6. [illegible]
№ 6.
03.13

7. [illegible]
№ 8

8. [illegible]
№ 16
03.16

9. [illegible]
№ 14.03.16.

10. [illegible]
№ 9.
03.16

[illegible] № 15

[illegible]
№ 24

[illegible]
№ 19

[illegible]
№ 24

[illegible] № 29
03.16

[illegible]
03.15

[illegible]
№ 32. 03.15

[illegible]
№ 35, 03.15

[illegible]
№ 36.
03.16

[illegible]
№ 37. 03.7

[illegible]
№ 38
03.16

6. [illegible]
№ 39. 03.15

N35
23.13

1. [illegible]

2. [illegible] - N35. 23. 13.

3. [illegible] N36. 23. 3

19— შაბათი | ფასი 10 კაპეიკი | 2 იანვარი —10 წ.

შინაარსი: 1 იანვარი 1910 წ.; ვაშა ახალ სხივს — ი. გრიშაშვილისა; ლ. ანდრეევი — ი. გომართელისა; შენ მეძახოდი — ა. შანშიაშვილისა; ყოფნა არ ყოფნა!?— ექიმი შტოკმანისა; მსახიობ ქალს, ლექსი — გ. ტაბიძისა; დრამის ისტორია — ნარვილისა; ლექსი —ი. მჭედლიშვილისა; დღესასწაული, დრამატიული სურათი—დ. ნახუცრიშვილისა; სიტყვა-კაზმულ ნაწარმოების საერთო დაფასება — ლევ. მეტრეველისა; ჩვენი მსახიობი, მოთხრობა— ს. გლახაშვილისა; ფილოსოფიური ლექცია — ბიჭი-ბიჭისა; ქართული თეატრის ისტორიიდან— დ. ნ—სა.; საახალწლო—?!. ჭინკასი, სურათები: პირველი ქართ. დრამ. დასი; ანდრეევი; ნახუცრიშვილი: გ. ერისთავი; ჩვენებური საქმიანობა.

ქართ. თეატრის მამამთავარი გ. ერისთავი

ქართ. თეატრის დაარსების სახსოვ. 1852—1910

2 იანვარი 1910 წ.

სალამი შენდა, ძვირფასო მკითხველო!..

დღეიდან ვიწყებთ შენთან სულიერ ურთიერთობას, ცხოვრების მწვავე კითხვებზე სჯაკამათს, აზრთა გაცვლა-გამოცვლას...

ჩვენის გამოცემის სათაური თვითონვე ღაღადებს, რა უნდა იყოს მისი საგანი — თეატრი და ცხოვრება!..

ხელოვნების უწმინდეს ტაძრის, ადამიანთა გრძნობა-გონების გამფაქიზებელ ერთ უდიდეს იარაღის განხილვა, სცენის დანიშნულების გარკვევა, ცხოვრების შავბნელ კუნჭულთა გაშუქება, შეძლებისა და გვარად, — აი, რა არის დანიშნულება ამ ახალის გამოცემისა...

ხელოვნებას სამშობლო არა აქვს, მთელი ქვეყანაა მისი აკვანი, ყველასათვის ერთია და ყოველთა შემაკავშირებელი...

ამიტომ ჩვენი ჟურნალის მიზანიც იქნება საერთოდ ადამიანთა საკეთილდღეო მუშაობა: ბეშმარიტების გაშუქება და უკეთურების დათრგვა...

ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ

ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ-ეროვნულ

5835
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
Акад. И. Грашвили

ჩვენი რწმენაა ხელოვნების უმაღლეს მოთხოვნილება-მისწრაფებათა დაცვა და განვითარება იმდენად, რავდენათაც იგი ხალხთა შეერთებას, ამაღლებასა და მათ შორის სოლიდარობის განმტკიცებას ემსახურება...

—

ცხოვრება, — ადამიანთა ურთიერთობა, საზოგადოებრივი განწყობილება, სამტრო-სამოყვრო დამოკიდებულება, გაუტანლობა, ფარისეველობა, ცბიერება, მაღალ-დაბლობა, ბიწიერება, უმანკოება, ქედ-მაღალთა უყმეხობა, დაბალი ღობის არად ჩაგდება, უვიცობა, თანამედროვე წარმოების საშუალებით შექმნილი უსამართლობა, სიღარიბე და სიმდიდრე, სიცილი და ტირილი, — ყოველივე ეს ურთიერთზე ჯადოსნური ჯაჭვითაა გადახლართული და ერთი მეორისაგან გამომდინარე....

და მერე ვინ, რომელი თავზე ხელ-აღებული ამხელს მეორეს ყოველივე ამ მანკიერებაუკეთურებას, ვინ გაამჟღავნებს ბიწიერებას, რომელი გაბედავს შეუმჩნეველად, ხოლო აშკარად, თვისდა უნებლიეთ და პირდაპირ ყველა ჩვენგანს ჩასძახოს, ამხილოს თავისი ავ-კარგი?—

არავის, გარდა თეატრისა, სასცენო ხელოვნებისა, მწერლობისა... ამიტომ ძველადაც და თანამედროვე ქვეყნებშიაც თეატრს დიდი ადგილი უჭირავს ხალხის კულტურულ ცხოვრებაში და სამაგალითოდაც ასრულებს თავისს დანიშნულებას...

თეატრია მსოფლიო სულის გამომსახველი და მასთან ყოველი ტომის, ყოველი ერის, ყოველი პიროვნების განკერძოებულ თვისების აღმნიშვნელი, — ის ემბაზი, რომელშიაც სულით, გულით, რწმენით, მისწრაფება - მიმართულებით ინათლება ყოველი მაყურებული, ყოველი ადამიანი, რა ერისა, რა სარწმუნოებისა და ყოფა-მდგომარეობისაც უნდა იყოს...

იგია ცხოვრების სარკე, შუქ-მფენი მზე, რომელიც თავის ცხოველმყოფელ სხივებს უხვად აფენს ცხოვრების ბნელ კუნჭულებს, ადამიანთა სულსა და გულს და მთელს კაცობრიობას ერთის იდეალისაკენ მოუწოდებს, რომ დათრგუნოს მონება, უბედურება, სიბნელე, შური, მტრობა და მთელის თავისის არსებით შეიყვაროს თავისუფლება, სიკეთე, ძმობა-ერთობა, სინათლე, ჭეშმარიტის გზით სიარული!..

თუ ასეთი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ თეატრს ხალხთა ცხოვრებაში, მით უმეტეს მრავალმნიშვნელოვანია ივი ჩვენთვის, ქართველებისთვის, რომელთა ცხოვრება დადუჭირებული და შებორკილია...

ქართული თეატრის გავლენის გაფართოება, მისი დანიშნულების თავის ღირსეულ ადგილას აყვანა დაამტკიცებს თვით ქართველი ხალხის საზოგადოებრივი თვით-შეგნების განვითარებას და ამიტომაც ყოველმა ჩვენგანმა უნდა ხელი შეუწყოს მისს დაწინაურებას...

სწორედ ამ მოსაზრებით ავიღეთ ჩვენც კალამი, რომ შეძლების და გვარად ვემსახუროთ მას...

ვაშა, ახალ სხივს!

... შორს გამოსჭვივის,
შუქი ნორჩ-სხივის, —
მთიები ცაში შეათამაშა...
სამყარო ბნელი გაკაშკაშა!
მეც დავეწაფე უკვდავების ხილს,
გავეხმაურე ფრთოსანთ მოძახილს, —
გულში იფეთქა შებორკილ რწმენამ, —
ნაღველი შვებას დაენაცვალა, —
ვაშა, ჭაბუკ სხივს... გულს მიხალისებს
ახალი წელი, ახალი ძალა!..

ი. გრიშაშვილი

ლეონიდ ანდრეევი

ლეონიდ ანდრეევი ის პირია, რომელიც თანამედროვე მწერალთა შორის რუსეთში ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობს.

ერთის მხრით თუ მას ყველაზე უფრო აქებენ, მეორეს მხრით ყველაზე უფრო იწუნებენ, ჰკიცხავენ.

მკითხველი საზოგადოება კი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ანდრეევის კალამს და მწყურვალი ადამიანივით ეწაფება ყოველ იმის ნაწარმოებს. რა არის ამის მიზეზი?

შეუძლებელია, მწერალში არა ეყაროს-რა და მკითხველები კი მას ისე ედებოდენ, როგორც ბუზი თაფლს.

მეორეს მხრით ისიც შეუძლებელია, რომ მწერალს დიდი ნაკლი არა ჰქონდეს და მკითხველი კი ბევრი ჰყავდეს.

სწორედ ლეონიდ ანდრეევს დიდი ნაკლიცა აქვს და დიდი ღირსებაც.

როდესაც მესმის, ლეონიდ ანდრეევი დიდი მხატვარიაო, ეს შემცდარ აზრად მიმაჩნია, არა ანდრეევი დიდი მხატვარი არ არის. როდესაც შეუდარებ მას დოსტოევსკის, ტურგენევს, ტოლსტოის, ამ მწერლობის მდევებთან ანდრეევი ქონდრის კაცად მოჩანს. მართალია, ანდრეევი დიდი ფსიხოლოგია, მაგრამ დიდი მხატვრისათვის მარტო ეს საკმარისი არ არის.

მიუხედავად ამისა მკითხველი მას ეტანება, მკითხველს ის მოსწონს და ძალიანაც მოსწონს.

რატომ, რისთვის?

იმიტომ რომ ანდრეევი ყოველგან და ყოველისფერში ეძებს უბედურ ადამიანს, რადგანაც მას უყვარს ეს უბედური ადამიანი. ყოველი მისი ნაწარმოები გამთბარია, გასულიერებულია ადამიანისადმი სიყვარულით.

იმიტომ რომ ანდრეევი არ კმაყოფილდება არსებულით, ხილულით. ის მუდამ ეძებს უხილავს, ყოველგან ეძებს აზრს, მიზანს, ეძებს კვნესით, გულის ტკივილით.

ლეონიდ ანდრეევი

ცხოვრება ისეთია, როგორსაც ჩვენა ვხედავთ, ადამიანი იმ გვარი, როგორიც არსებობს, სიკოცხლე იმისთანა, როგორიც დედამიწაზე სწარმოებს, ანდრეევს არ აკმაყოფილებს; ყოველივე ეს ანდრეევის თვალში ფუჭია, წარმავალი, უაზრო, სიბრალულის მომგვრელი, გულის ტკივილის აღმძვრელი, კვნესის აღმომხდენი. ის ეძებს სისრულეს, ეძებს მსოფლიო გონიერებას, ეძებს მსოფლიო სამართლიანობას, მსოფლიო ნებას, ეძებს მთელი თავისი ნერვებით, მთელი თავისი სულის კვეთებით და გულის კვნესით, ეძებს მთელი თავისი სიყვარულით და ამიტომ უყვარს ის მკითხველს.

ანდრეევი არკვევს იმგვარ ფილოსოფიურ პრობლემებს, რომლებიც ისტორიის დასაბამიდან იზიდავენ ადამიანის გონებას; ამ პრობლემების გადაჭრა ანდრეევისათვის სამკვდრო-სიკოცხლო კითხვას შეადგენს და ამიტომ ეტანება მას მკითხველი. რა არის ჭეშმარიტება ან სად არის ის? აი, ის კითხვა, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ანდრეევს. ეს კითხვა მიუძღვის წინ ანდრეევის უკანასკნელ ტრაგედიას ანათემს.

ვინ არის ანათემა? კეთილის მატარებელია ის, თუ ბოროტის? არც ერთის, და არც მეორის. ანათემა გონებაა ადამიანისა, ჭეშმარიტების მაძიებელი. ანათემა ყოველი ადამიანია, რომელსაც კი ცოდნის არსებული სამზღვრები არ აკმაყოფილებს და ამ საზღვრებს იქით ეძებს ის მსოფლიო, უნივერსალურ, სამარადისო ჭეშმარიტებას. ანათემა თვით ანდრეევია. ის ხან ფაფარა-შლილი და აღშფოთებული, როგორც ზღვის ტალღა, ხან წყნარი და მშვიდი, როგორც ნიავი, ხან მთხოვნელი და მემუდარე, ხან გულ-დაკოდილი და სასოწარკვეთილი იყურება ბუნების საიდუმლოებაში, რომ ამოიკითხოს ჭეშმარიტება, ის ეჭშმარიტება, კი არა, რომელიც ადამიანებსა აქვთ და რომელიც ადამიანებისავე შეთითხნილია, არამედ ის სამარადისო, მსოფლიო ჭეშმარიტება, რომელსაც ადამიანის გონება ვერ მიწდომია. ვერც ანათემა, ვერც ანდრეევი ამ ჭეშმარიტებას ვერ ჰპოულობენ და მათი მკვნესარე ამოძახილი: სად არის ჭეშმარიტებაო,—ცის სივრცეში იფანტება და ბუნების საიდუმლოებას ვერ არღვევს.

ადამიანები უბედურნი არიან, ისინი მიისწრაფიან ბედნიერებისაკენ. ყველა ის საშუალებანი, რომლებიც უქადიან ადამიანს ბედნიერებას, ყველა ის გრძნობანი, რომელთა განვითარებისაგან მოელიან ადამიანები ქვეყნათ ბედნიერების დამყარებას, უძლურნი არიან, — უძლურია თვით ღრმა, უსაზღვრო სიყვარულიც უბედურთადმი: დავით ლეონიერმა მთელი

თავისი საცხოვრებელი, თავისი მილიონები უბედურებს დაურიგა, მაგრამ ამით ქვეყანაზე ვერაფერი ვერ შესცვალა, თვით უბედურებმავე ჩაჰქოლეს ის ქვეთ, როგორც მატყუარა. მაშ სადღა არის უზენაესი სამართლიანობა? სადღა არის უზენაესი სიკეთე? სად არის უზენაესი გონიერება?

ანათემა, როგორც თვით ანდრეევი, ჰგრძნობს ბუნდოვანად, რომ ყოველივე ეს მირაჟია, სიცრუე და ყოველისფერი ქვეყნად, თვით ადამიანთა ცხოვრება, მათი ბედიღბალი, ემორჩილება მეხანიურ კანონებს, შეუგნებელ, უგონო ძალას ბუნებისას, აუცილებლობას. ტრაღედია ადამიანთა ცხოვრებისა და თვით ანდრეევის სულიერი ტრაღედიაც სწორედ ამაში მდგომარეობს!

ყოველივე,რასაც ჩვენ ვხედავთ, უაზროა, უშინაარსო; ყოველივე, რაც ჩვენ ვიცით, არარაობაა, უნუგეშოა; სიყვარული უძლურია; მაშ რა არის, როგორია ან სად არის ჭეშმარიტება?

ივ. გომართელი



შენ მეძახოდი...

შენ მეძახოდი—მოგიახლოვდი
სულით დაღლილი და დაქანცული,
შენმა ღიმილმა გულში აღმიგზნო
მაღალი გრძნობა და სიყვარული.

—

მე ვსდუმდი, ტურფავ, არას ვამბობდი,
დაღონებული შემოგცქეროდი;
თეთრ ყვავილების კონას მაწვდიდი,
თან ნაღვლიანად ჰანგსა მღეროდი.

—

მე ის სიმღერა გულს შთამრჩენია,
მწარედა ვსტირი, როს მაგონდება;
თურმე შენ იყავ ჩემი სიცოცხლე
და მე უშენოდ—ამაოება!..

ა. შანშიაშვილი

„ეოფნა არ ეოფნა!..“

ეს კითხვა დაებადება ყველა იმას, ვინც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობას ჩაუკვირდება!...

და მართლაც, მიმოიხედეთ ირგვლივ: რომელი საქმე გვაქვს მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული: მწიგნობრობის, წერაკითხვის გავრცელების, თეატრის თუ სხვა რომელიმე?—

არც ერთი.

და ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რავდენადა ვართ ჩამორჩენილი ცხოვრებას...

რავდენად წარსულის უცოდინარნი, აწმყოს არარად ჩამგდებნი, მომავალის არა გამთვალისწინებელი ვართ...

ცხოვრებას თავისი განსაზღვრული კანონი აქვს, სასტიკი, შეუბრალებელი და სწორე კანონი...

თუ გსურს იარსებო,—უნდა იშრომო, იმოქმედო, იბრძოლო კიდეც, თუ არა და...

შენივე ხელით გაითხრი სამარეს...

ყოველი საუკუნის ხალხს თავისი დროის შესაფერი იარაღი ჰქონდა ბუნების დამამხობელ კანონებისა, თუ შემოსეულ მტრების წინაღმდეგ საბრძოლველად...

და იბრძოდა კიდეც თავისი თავის არსებობის დასაცველად: ვინც სუსტი იყო—ცხოვრების უბსკრულში ინთქმებოდა...

ეს კანონია ცხოვრებისა...

ჩვენ, ქართველებსაც გვიცხოვრია და წარსულიცა გვაქვს: იყო დრო—ხმლით ვიგერიებდით მტერს, იყო დრო—ჯვარით ვიცავდით თვითარსებობას, დგებოდა ჟამი—ორივე ერთად უნდა გვჭეროდა ხელში და ასე ამგვარად მეოცე საუკუნის განთიადამდე მოვახწიეთ...

დრონი იცვალნენ, ძველებური იარაღი ახლა არ გამოდგება და თანამედროვე განათლებული კაცის თვალსაზრისით დასაგმობიცაა...

სამაგიეროდ ცხოვრებამ სხვა საშუალება, სხვა გზა, სხვა იარაღი მოგვთავაზა,—

ესაა კულტურული,—გონება-ზნეობით განვითარება, ცოდნის იარაღით აღჭურვა...

და მერე ჩვენ გვესმის კი ამ სიტყვის მნიშვნელობა?..

ოო, გაგიხარიან, რომ სიტყვიერად ყველას ვუმტკიცებთ, ვითომც კულტურული მუშაობა გვიყვარდეს, ვმუშაობდეთ... ბევრსაც ვმსჯელობთ კულტურულ მუშაობაზე. ჩვენს პროექტებს, „რეჩებს“ დასასრული არა აქვს, ხოლო საქმით-კი...

ყველა დაკვირვებული კაცი ხედავს, ვინ

ვყოფილვართ, რა ვყოფილვართ: სიტყვა რიხი, საქმით უქმი...

ცხოვრება კი ცისმარე დღე წინ გვიყენებს „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხს...

და ეს კითხვა მწვავეა ყველა იმისათვის, ვინც დამონებულია პოლიტიკურად, ფეხქვეშაა გაქელილი ეკონომიურად, სუსტია კულტურულად..

და ჩვენი საზოგადოებაც თითქო განგებ გადაბირებული იყვესო, თვითონვე ილესავს დანას თავის ყელის გამოსაჭრელად...

ამის დამატკიცებელია ჩვენი საზოგადო დაწესებულებათა უნუგეშო მდგომარეობა...

ჯერჯერობით ყველას თავს დავანებებთ და ამჟამად მხოლოდ თეატრს შევეხებით.

რა დიდი მნიშვნელობაც აქვს საზოგადოდ თეტრს ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში, ეს ყველა, ცოტად თუ ბევრად, შეგნებულმა ადამიანმა იცის, ხოლო ჩვენისთანა ბედში მყოფთათვის რომ ერთი ორად მეტი მნიშვნელობა აქვს, ამას ხომ მტკიცება არ ეჭირვება...

თეატრი ჩვენი საკრებულოა, ურთიერთთან შესახვედრი, საზოგადო სკოლა, საალმზრდელო დაწესებულება, წარსულისა და აწმყოის სარკე, მწვავე კითხვათა გამრკვევი...

და მერე რა დღეშია იგი?

მეოცე საუკუნის განთიადზე ჩვენის საზოგადოების მოწინავე შეგნებულმა ნაწილმა დიახაც რომ საშვილის-შვილო ძეგლი აღუგო შთამომავლობას—აღუშენა ხელოვნების ტაძარი, მაგრამ რაში მეპრიანება იგი ტაძარი, რომელშიაც არც წესიერი წირვა-ლოცვაა, არც უმწიკვლო ქურუმნი და არც მრევლი დაიარება?..

დღეს ჩვენი თეატრი დაცემულია, მისი კეთილდღეობა შერყეულია, მოკლებულია ცხოველ მყოფელ ძალას, იმ ძალას, რომლისკენაც უნდა მისწრაფოდეს ყოველი ცოდნისა და განვითარების მსურველი, ყოველი მაშვრალი და მწყურვალი...

გამქრალი აქვს თვითმოქმედება-შემოქმედების უნარი, დაკარგული აქვს საკუთარი გზაკვალი, თითქოს არ იცის, რას ემსახურება და რას უნდა ემსახუროს... იგი ცხოვრებას ჩამორჩა. საზოგადოებამ თვისის მოთხოვნილება-მისწრაფებით თეატრს გაუსწრო და ამის შემდეგ ვის რაღად უნდა გვიკვირდეს, რომ იგი, ქართული თეატრი, დასნეულებულია და მასში მსახურს ქართველ მსახიობს ჯერაც ვერ მოუპოვებია მოქალაქობრივი უფლება, თითქო მეტი ბარგიაო, საზოგადოების მეტ-ხორცად ცნობილი...

თეატრი, სცენა მარად-ჟამს დროს მოთხოვნილებას ანგარიშს უნდა უწევდეს და ყოველთვის წინ მიუძღოდეს საზოგადოებას, ბნელში გზის მაჩვენებელი იყოს და არა უკან ჩამორჩენილი, მაჩანჩალა... დღეს-კი რას ვხედავთ?—

დაუკვირდით, საზოგადოება თეატრს არა სწყალობს, მსახიობნი ხელოვნებას, მელპომენა მსახიობთ...

ვინ არის ამაში დამნაშვე? სად არის ძაღლის თავი დამარხული? რა გზით შეიძლება ეშველოს ჩვენს თეატრს?!—აი, კითხვები, რომელთა მიუდგომელ გარკვევას მოითხოვს ჩვენის თეატრის ყოფნა არ ყოფნის აწმყო და მომავალი*).

ექიმი შტოკმანი

მსახიობ-ქალს

როცა ფიქრებით დატყვევებულ-გარემოცული
მარტო ხარ, ობლად, და გიტანჯავს სულს
მწუხარება,
როცა უცნაურ აღმაფრენით გიტოკავს გული
და წარგიტაცებს სოცარი იდუმალება;
ან როცა სატრფოს გატაცებით ესაუბრები,
ორთავეს გიწვევს განსაცხრომლად ტყე დაბურული,
მისი სიტყვებით, მისი სუნთქვით უებრად სტკბები,
კვლავ საოცნებოდ აღტაცებით მიილტვის სული.
როცა ხარხარებ განუწყვეტლივ, ან და ქვითინებ,
როცა ბრბოს მეფად, გვირგვინოსნად თავის თავს
აცნობ,
ვერძო გულისთქმას, სულის კვნესას ვმარხავ,
ვივიწყებ,
მხოლოდ მას ვფიქრობ, რომ შენ მაშინ ურცხვად
თვალთმაქცობ.
ოჰ, რა რიგ მინდა მაშინ ძლევის დაგიდგა
ძეგლი..
გულ-წრფელ სიტყვებში გამოვხატო ეს გრძნობა
მცირე:
ძეგლის ღირსი ხარ, რადგან სული უკანასკნელი
შენს ერთ სიყვარულს, ხელოვნების ტაძარს შესწირე!

გ. ტაბიძე.

*) სამშობლო სცენის გულშემტკივართ ვსთხოვთ, ხმა ამოიღონ ჩვენის თეატრის დაქვეითების ძირითადი მიზეზების შესახებ და აგრეთვე მასზე, თუ რა გზით შეიძლება მისი სასურველ გზაზე დაყენება. **რედ.**

დრამის მოკლე ისტორია

დრამატიულ პოეზიის — ანუ დრამის სათავე იყო ძველ ბერძენთა სარწმუნოება. ბერძნებს მრავალი ღმერთი სწამდათ; ყველა დარგს თავისი ღმერთი ჰყავნდა. სხვათა შორის რთვლის — ანუ, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ღვინის ღმერთი იყო ბახუსი (დიონისი). უხსოვარ დროიდან ჩვეულება იყო ხალხში, რომ ყოველ წლობით გაემართათ ბახუსის დღესასწაული რთვლის დროს. ამ დღესასწაულზე მღეროდენ ღმერთების ქება-შესხმას და ხორო, რომელიც ამ ქებას მღეროდა, ცეკვა-თამაშით უვლიდა ღმერთის საკურთხეველს — სამსხვერპლოს, შემდეგ მსხვერპლად სწირავდენ თხას. ამ ჩვეულებიდან დაერქვა დრამას ტრაგედია ე. ი. თხის სიმღერა.

შემდეგში ღმერთების ქება-დიდებას მიუმატა მოთხრობა ბახუსის თავგადასავლისა და აგრეთვე სხვა ღმერთების შესახებ; ბოლოს გადავიდა თვით ისტორიაზედაც. ასე რომ თავდა-პირველად ტრაგედიის შინაარს და საგანს შეადგენდა ბერძნების სადმთო ისტორია—მითოლოგია; მითოლოგიურ ტრაგედიაში ღმერთების გარდა მონაწილეობას იღებდენ შიგა და შიგ ადამიანებიც. ეს უკანასკნელი ელემენტი უფრო გახშირდა ბოლო დროებში, ე. ი. დაიწყეს სცენაზე გამოყვანა ღმერთებისა და ადამიანების ერთმანეთთან დამოკიდებულებისა.

მაგრამ ამანაც მალე მოჭამა თავისი დრო და სცენაზედ უფრო ხშირად ადამიანები გამოჰყავდათ.

თავიდანვე ტრაგედიის ამსრულებელი იყო მარტო ხორო; შემდეგ მწერალმა თესპისმა ხოროს მიუმატა ერთი პირი, რომელიც მხოლოდ ლაპარაკობდა, ან პასუხს აძლევდა ხოროს და საკუთარს აზრსაც გამოსთქვამდა.

თესპისის შემდეგ ბერძნული თეატრი განვითარდა; ბახუსი და მისი დღესასწაული განზე დარჩა; პოეტებმა სულ სხვა საგნები აირჩიეს ტრაგედიისთვის, ე. ი. წმინდა ხალხური ცხოვრება.

მეექვსე საუკუნეში (ქრ. შობამდე) პოეტმა ფრინიხოსმა ახალი ხანა შექმნა მით, რომ პირველად ქალის როლი შეიტანა ტრაგედიაში. მანვე გაბედა პირველად შეჰხებოდა ტრაგედიაში თანამედროვე თემას და დასწერა „მილეთის აღება“ სპარსელებისაგან.

ძველი ათინელნი ძლიერ დიდს ყურადღებას აქცევდენ ტრაგედიის ესთეტიურს მნიშვნელობას. ფრინიხოსის „მილეთის აღება“ რომ წარმოადგინეს, ხალხმა ბევრი იტირა, მაგრამ მსაჯულებმა ავტორი მაინც 1000 დრახმით დააჯარიმეს, რადგან ამ ტრაგედიაში უფრო მეტი პატრიოტული გრძნობა იყო გამოხატული, ვიდრე ესთეტიურად შეხამებული აზრი.

მართლაც თეატრის მნიშვნელობა ბერძენთა ცხოვრებაში გამოუთქმელი იყო. თეატრი ბერძნებისთვის თავისებური სახალხო უნივერსიტეტი იყო. სცენის ზნეობრივს გაკვეთილებს უფრო სათვალხმიეროდ და ძვირფასად ხდიდა თვით დღესასწაული და იშვიათი ხასიათი წარმოდგენებისა. სადღესასწაულო მხიარულება და ერთობის შეგნება მრავალათას დამსწრეთა, რომელნიც ერთს ენას ლაპარაკობდენ, ალტარები და კეთილ-მსახურება, ახალი და ძველი ტრადიციები—მაყურებელთა გულში ისეთს სრულ და ჰარმონიულ ჰანგსა ისკვნებოდა, რომ მათს გულში თავისუფლად პოულობდა ადგილს ზნეობრივი გაკვეთილები სცენისა.

მაგრამ ნამდვილი დასაწყისი დრამატიულ პოეზიისა იწყება პოეტ ესხილოსიდან, რომელიც ითვლება ტრაგედიის მამად.

ესხილოსი დაიბადა ელევზისში 525 წელს. მონაწილეობა მიიღო სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში მარათონთან, სალამინთანა და პლატეასთან. იმის დროს შემოღებული იყო დრამატიულ თხზულებათა კონკურსი, რომელიც ხდებოდა ყოველ წელს ბახუსის დღესასწაულზედ; ესხილოსმა კონკურსში პირველად მიიღო მონაწილეობა 500 წ., მაგრამ გაიმარჯვა მხოლოდ 485 წ. ქრისტ. წინ. რამდენიმე ხანს სიცილიაში ცხოვრობდა სირაკუზელ მეფის სასახლეში, სადაც დაწერა თავისი ტრაგედია „ეთნიელი ქალები“ ქ. ეთნის დაარსების გამო. როდესაც ათინაში დაბრუნდა, 468 წ. კონკურსზე მას აჯობა მეორე დიდმა ტრაგიკოსმა, მაშინ ჯერ ისევ ახალგაზდამ, სოფოკლემ. ესხილოსი 459 წ. წავიდა ისევ სიცილიაში და იქ ცხოვრობდა სიკვდილამდის.

მადლობელმა ათინელებმა რამდენიმე ხნის შემდეგ მისი ქანდაკება დადგეს თეატრში. ხალხის გადაწყვეტილებით, თითქოს ცოცხალი ყოფილიყოს, ყოველ მისი ტრაგედიის წარმოდგენის დროს გამარჯვებულის გვირგვინით ამკობდენ იმ ქანდაკებას.

ესხილოსი სამართლიანად ითვლება ძველ ტრაგედიის დამაარსებლად. მან ტრაგედიაში ჩაუმატა მეორე მოქმედი პირი და ამით ტრაგედიაში შეიტანა

დიალოგი. დიალოგი მან ტრაგედიის უმთავრეს ნაწილად გახადა, ხოროს სასიმღერო კი კარგა შეასუსტა. მანვე გააუმჯობესა და ზოგიც ახალი მიუმატა სცენის მოწყობილებას, სცენაზე დეკორაციები და მაშინები შემოიღო, აგრეთვე განსაკუთრებული ნიღაბები მსახიობისთვის; ამას გარდა მდიდარი ტანსაცმელით, მაღალ-ქუსლიანი ფეხსაცმელით და თავის მოსართავებით წარმოდგენას სულ სხვანაირი, არა ჩვეულებრივი, ელფერი მისცა.

ესხილოსის ტრაგედიები ცალკ-ცალკე ყველა თითქმის დაუმთავრებელია, მკითხველი თუ მაყურებელი აშკარად ჰგრძნობს, რომ ამ ტრაგედიის გაგრძელება უეჭველად უნდა კიდევ იყოს მართლაც, ესხილოსის ტრაგედიები უმთავრესად სამნაწილოვანია (ტრილოგია); და საგანიც აღებული აქვს ჰომიროსის პოემებიდან. თითონ პიესის პლანი (გეგმა) ძალიან მარტივი და უბრალოა; დრამის ნასკვი თუ გამოხსნა არა ჩანს სრულებით. სამაგიეროთ მოქმედნი პირნი დახასიათებულნი არიან მოკლედ, მაგრამ მკაფიოთ და ძლიერად, — ყველა მისი გმირები მართლა ძლიერი ადამიანები არიან (მოიგონეთ მისი „მიჯაჭვული პრომეთეოსი“). ამის და შესაფერად ესხილოსის პოეზიის ენა დიდებულია, მგვეთრი და მძლავრი ვით ბუმბერაზი. ჯერ მგონი არავის გამოუთქვამს და არ დაუხატავს მეტის სიძლიერით მძვინვარება, მძულვარება, ზიზღი, შურისძიების ტრფობა, როგორც ეს ესხილოსმა მოახერხა. თითონაც გმირი იყო და ზეადამიანური გმირებიც გამოიყვანა სცენაზე.

ესხილოსის კალამს აკუთვნებენ 70 — 90 პიესას. ჩვენამდის მოაღწია მხოლოდ შემდეგმა შვიდმა: 1, „სპარსელები“, ისტორიული დრამა, რომელშიაც ნაამბობია სპარსთა მეფის ქსერქსის დამარცხება სალამინთან (დაწერილია დაახლოვებით 472 წ.); 2, „მფარველობის მთხოვნელნი“, რომელშიაც სამშობლოდან გამოქცეული დანაოსი და იმისი ქალები ევედრებიან არგოსელებს მიღებას; — 3, „შვიდნი თებას წინააღმდეგ“, რომლის მეორე ნაწილია „ლაიოსი“, მესამე „ედიპოსი“, — დაიდგა 467 წელს.; 4, „მიჯაჭვული პრომეთეოსი“*), რომელიც ითვლება ღრმა-აზროვან და დიდებულ პოეტურ ნაწარმოებად ძველს ლიტერატურაში; (უეჭველია ესეც სამნაწილოვანი იქნებოდა: 1, „ცეცხლის მომტანი პრომეთეოსი“ 2, „მიჯაჭვული“ და 3, “განთავისუფლებული პრომეთეოსი“).; 5, 6 და 7 „ორესტია“, ერთად-ერთი სამნაწილოვანი ტრაგედია, რომელმაც ჩვენამდის მთლიანად მოაღწია; ეს ტრაგედია სამართლიანად ითვლება შესანიშნავ ნაწარმოებად მთელი ქვეყნის ლიტერატურაში და შესდგება შემდეგის ნაწილებისაგან: 1, აგამემნონი, 2, ხოეფორები და 3, ევმენიდები; შიგ გამოხატულია აგამემნონის სიკვდილი, ორესტის შურისძიება და მისი განწმენდა ცოდვებისაგან.

მაგრამ ესხილოსს დაფნის გვირგვინს შეეცილა მისივე თანამედროვე, მაგრამ გაცილებით ახალგაზრდა და ნიჭიერი პოეტი სოფოკლე, რომლის შესახებაც შემდეგ მოგახსენებთ. **ნარვილი.**

*) ნათარგმნია ქართულად პ. მირიანაშვილისმიერ.

*
* *

თუ ასე მწარედ დავღონდებოდი,
ნეტავი კი არ შემყვარებოდი!
სევდათ გარდმექცა ლხენა და შვება—
დავკარგე გულის თავისუფლება.
წამს მომეჩვენე ციურ ღიმილით
და წამსვე ისევ შთაინთქე უფსკრულს.
სული ობოლი შენს კვალს დაეძებს
სამარადჟამოდ წყვდიადში შთანთქმულს.

ი. მჭედლიშვილი.

სიტყვა-კაზმულ ნაწარმოების საერთო დაფასება

—:—

კარგი ნაწარმოების დაწერა ხომ ძნელია, მაგრამ მასზედ ადვილი არც თვითონ იმის დაფასებაა.

ყველას სხვა და სხვა ნაირად ესმის ხელოვნების დანიშნულება, ყველა სხვა და სხვა მოთხოვნილებას უყენებს მას, და ამიტომ ყველას სხვა და სხვა საზომიცა აქვს მის დასაფასებლად.

მაგრამ რამდენად გამოსადეგია ეს სხვა და სხვა საზომი მხატვრულ ნაწარმოების ჭეშმარიტი ღირსების დასაფასებლად, ამისი თქმა ძნელია, რადგან ხშირად თვითონ დამფასებლებ-

საც კარგად არა აქვთ გამორკვეული, თუ რას მოითხოვენ ისინი ამა თუ იმ ნაწარმოებიდან და რას აწვდის მათ ეს ნაწარმოები.

თუმცა ყველა სხვა და სხვა მოსაზრებითა ხელმძღვანელობს მხატვრულ ნაწარმოების დაფასებაში, აქედან ზოგი უფრო ახლო უდგება სინამდვილეს, ზოგი უფრო შორს მიჰქრის მისგან, მაგრამ საერთოდ კი თითქმის ყველას შეხედულობასა და ხელმძღვანელობას აკლია რაღაც მიუწდომელი, რაღაც გამოურკვეველი, მაგრამ ფრიად საჭირო და თანდევნილი თვისება ყოველი მხატვრული ნაწარმოებისა.

თავის საზომის ამ ნაკლს თითქმის ყველა დამფასებელი გრძნობს ინსტიქტიურად, მაგრამ ამ ინსტიქტიური გრძნობისთვის მას ვერ მიუცია ნათლად გამოხატული ფორმა; ის არ უწევს ღირსეულ ანგარიშს ამ ძვირფას გრძნობას და განაგრძნობს დაფასებას იმ შეხედულობით, რომელიც უფრო ადვილად შეუქმნია მის ლოღიკას რწმენისა, გრძნობისა და გემოვნების ათასნაირად დამახინჯებული, ბუნდოვანი და არეული თვისებებისაგან.

ყველა რაღაც უკიდურესობაში ვარდება. უეჭველად უნდათ, რომ მხატვრობის მხოლოდ ერთ-ერთ რომელიმე თვისებას მისცენ უპირატესობა.

ზოგი პირველ რიგში აყენებს იდეას და შემდეგ კი მხატვრობას, სილამაზეს, ზოგი კი იძახის—ხელოვნება ხელოვნებისათვისო.

ტურგენევის ფორმულით რომ ვიხელმძღვანელოთ, ასე გამოიხატება ეს ორნაირი აზრი:

— ერთნა იძახიან: უმთავრესი ის არის, თუ რა არის ნათქვამი.

მეორენი კი იძახიან: საქმე ის კი არ არის, თუ რა არის ნათქვამი, არამედ ის, თუ როგორ არის ნათქვამია.

ეს, ჩემი აზრით, გაუგებარი უკიდურესობაა და, აი, როგორ:

მხატვრობაში რაც უნდა იდეა იყვეს, ის უეჭველად კოხტად შეფუთნილი და გამოწყობილი უნდა იყვეს სილამაზეში, სიმშვენიერეში და სიძლიერეში. უიმისოდ ის აღარც მხატვრული ნაწარმოები იქნება, ან რაც ლამაზად, მშვენიერათა და ძლიერად არის ნათქვამი, იქ აუცილებლათაც არის რამე იდეა. იქ იდეად თვითონ ეს სილამაზე, ეს სიმშვენიერე და მგრძნობიერობაა.

აქ მე შემიძლიან ასე ვსთქვა: პირველ შემთხვევაში იდეა არის გონებისთვის, მეორეში კი—გრძნობისთვის; მაგრამ ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებში კი, სადაც არის სიმშვენიერე, სიძლიერე, მგრძნობიერობა, იქ ყოველთვის არის შესაფერი იდეია. შეცდომაა ის აზრი, ვითომ იყვენ ისეთი მხატვრული ნაწარმოებნი, სადაც მხოლოდ სილამაზე იყვეს და იდეა კი არაფერი.

ეს შეუძლებელია.

საქმე მხოლოდ იმაშია, თუ რომელი იდეია არის გატარებული ამა თუ იმ ნაწარმოებში?

როცა ისმება კითხვა „რომელი?“, აქ კი ნაწარმოების დამფასებლებიც ნაწილდებიან სხვა და სხვა მიმართულებად:

ერთნი აძლევენ უპირატესობას გონების იდეიას, მეორენი-კი გრძნობისას.

არიან მესამენიც, რომელნიც მოითხოვენ ორთავეს თანაბრად შეერთება-შეხმატკბილებას.

დამფასებლებს ხშირად არ ესმით, რომ მათი საზომი, მათი შეხედულობა მხატვრობის მხოლოდ ერთ-ერთ მიმდინარეობას შეადგენს. მათ კი თავიანთი შეხედულება მიაჩნიათ მხატვრობის საერთო საზომად, მისი საერთო აზრის დამფასებლად, მისი მნიშვნელობის და ღირსების ამწონ-დამწონავად.

ეს კი შეცდომა არის!

ისინი შეადგენენ მთელის მხოლოდ ერთ-ერთ ნაწილს. ერთ-ერთი ნაწილით კი მთელის გაზომვა ყოვლად შეუძლებელია.

მაგრამ სხვა-და-სხვა მიმართულების დამფასებლებმა რომ შესძლონ ღირსეულად დაფასონ ყველა-მხატვრული ნაწარმოები, როგორი იდეიის მატარებლებიც უნდა იყვენ იგინი, ამისთვის საჭირო არის სხვა-და-სხვა ტოტებიდან და ნაწყვეტებიდან დავბრუნდეთ უმთავრეს სათავესთან.

(შემდეგი იქნება)

ლევ. მეტრეველი

ქართული თეატრის ისტორიიდან

წელს შესრულდა ოცდაათი წელი, რაც მუდმივი ქართული დასი შესდგა.

მაგრამ ეს მუდმივი დასი უცებ კი არ შემდგარა, ერთის ხელის მოქნევით კი არ გაჩენილა ქვეყანაზედ, მუდამ წელს ხან დაზმით ინტელიგენცია ჰმართავდა წარმოდგენებს სცენის მოყვარეთა დახმარებით სხვა და სხვა მიზნით. ამავე ხანში შესდგა ახალგაზრდობის წრე, რომელმაც განიზრახა მუდმივი დასის დაარსება და ქართული თეატრის ფეხზე დაყენება. შეუდგნენ კიდეც საქმეს, შეადგინეს დასი 1879/880 წლის სეზონისთვის. დასში შეიდნენ მომეტებული ნაწილი იმ



პირველი ქართული დრამატიული დასი

1. ვ. ა. აბაშიძე; 2, კ. დ. ყიფიანი; 3, კ. ს. მესხი; 4: მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, 5, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა; 6, ადამ ჩუბინაშვილი; 7, გრ. ყიფშიძე; 8, ნ. თომაშვილი-შინიაშვილი; 9, მ. ყიფიანი-ქართველიშვილისა; 10, ბ. კორინთელი-ყიფშიძისა; 11, ავ. ცაგარელი; 12, ზ. მაჩაბელი.

არამედ რამოდენიმე წელიწადი უმზადდებოდა ნიადაგი მუდმივი დასის დაარსებას. ჯერ მესამოცე წლებიდანვე იმართებოდა ქართ. წარმოდგენები. 1875 წლიდან კი სცენისმოყვარეთა, რომელნიც წინადვე იღებდენ მონაწილეობას ქართულ შემთხვევით წარმოდგენებში.

დასში, აი, ვინ მოჰყვენ, როგორც მსახიობნი:

კოტე ყიფიანი, რეჟონიორი და ძლიერი დრამატიული როლების ამსრულებელი;

კოტე მესხი, დრამატიულ და განსაკუთრებულ ხასიათის როლების ამსრულებელი;

ვასო აბაშიძე — კომიკური როლები;

მარიამ საფაროვ-აბაშიძისა — ახალგაზრდა ქალების როლებისათვის;

ნატო გაბუნია — ხნიერ ქალების როლებსათვის;

მ. ყიფიანი-ქართველიშვილისა

ბარბარე კორინთელი—ყიფშიძისა;

ავქ. ცაგარელი — კომიკური როლებისათვის;

ხაალ მაჩაბელი,—დრამატიულ როლებისათვის;

ნიკო თომაშვილი (შიშნიაშვილი), კომიკურ როლებისთვის.

ადამ ჩუბინაშვილი;

გრ. ყიფშიძე—სუფლიორი.

აი ამ ხალხმა ჩაუყარა საძირკველი ჩვენს თეატრს, ამათ გადასდგეს დიდებული, გაბედული ნაბიჯი საზოგადოების ცხოვრების გზაზედ; ამათ გაკვალეს ნავალი; მხოლოდ ამათთან ერთად და ამათ შემდეგ გაჩნდა ქართველი მსახიობი... ვაშა, მათს ღვაწლს! **ლ. ნ.**

ჩვენი მსახიობი

(მოთხრობა)

წარმოდგენის შემდეგ

I

ჩვეულებრივი ახალწლის წინა დღეა.

მზე თავისებურ გულუხვობით დამზერს ამა ქალაქსა; ხოლო ბრწყინვალე თავის სხივებს თავისებურად ყველგან ვერ აწვდის, რადგან ადამიანი ხელოვნებით ამას ხელს უშლის.

ერთ მხარეს თუ ფართე ქუჩებში თავის დიდრონ და განიერ ფანჯრებიანი სახლებია, მეორე მხარეს კი ვიწრო ერთი ერთმანეთზე მიწყობილი პაწია ფანჯრებით ქოხებიანი ქუჩებია.

ორივე მხარეს ადამიანთა საცხოვრებელია, ხოლო მზე კი ქოხის პაწია ფანჯრებში იშვიათი სტუმარია.

მზე რაკი ამ ქალაქს დაუპირდაპირდა, თავისი სხივი ერთ ვიწრო ქუჩაში ქოხის პაწია ფანჯარაშიაც შეაშუქა.

ამ იშვიათ სტუმარ—სხივმა პაწია, დაბალი და ნესტიანი ოთახი გაანათა; რამაც, თუმცა ღარიბული, მაგრამ კოპწიად მოკაზმული დედაშვილის საცხოვრებელი გაგვინათა.

— ადექი, შვილო, გეყოფა ძილი, — მიმართა დედამა თავის ქალსა,—გაცივდა ჩაი.

— მერე, გვაქვს კიო?!... — მიუგო გაკვირვებით ქალმა.

— მტერსაც ნურა ჰქონია-რა, შვილო! — ანუგეშა დედამ.—ჩაი გამოვბერტყე და შაქარიც ორი ნაჭერია: შენ ეს გეყოფა. შემდეგ კი ღმერთი მოგვცემს; იგი, შვილო, მოწყალეა...

— ღმერთი მოგვცემს? ... ადამიანი რომ არას გვაძლევს, ღმერთი, აბა ჩვენთვის სად მოიცლის?...

— როგორა შვილო! — გაკვირვებით შეეკითხა დედა, რა მიუხედა შვილის ნაღველსა.—განა, წუხელის არა მოგცეს-რა?...

— რას მომცემდენ, რომ წუხელის წარმოდგენიდან მხოლოდ სამი თუმანი დარჩა.

— მაშ!... ნაღვლიანად წამოიძახა იმედგაცრუებულმა დედამ.

— გამოგვიცხადეს, რომ დღეს გაანაწილებენ ჩვენ—მსახიობთა შორის...

ამ დროს მოისმა კარის რახუნი და დედა-შვილმა ერთმანეთს შეხედეს.

— შეიძლება? —შემოისმა ხმა გარედან.

— სახლის პატრონია, შვილო! უთხრა დედამ ქალსა და ზარმაცად გასწია კარებისაკენ.

— უთხარი, დედა, საღამოს მოვიდეს...

—საღამოს, საღამოს!—წამოიძახა ხმა-მაღლივ სახლის-პატრონმა და შემოიჭრა შიგ ოთახშია.

ქალს შერცხვა და საბანი წაიხურა.

— შენ მანდ ქალბატონივით იწვე და მეკი ქირას არ მაძლევდე?! — უსაყვედურებდა ბრძანების კილოთი სახლის-პატრონი. — ხომგქონდათ წუხელის წარმოდგენა? ახლა ქირის მოცემა როდემდის უნდა გადადვა?!...

ხმის-აწევით უწყრებოდა სახლის-პატრონი და თვალებს მსუნაგ კატასავით ლოგინისაკენ აცეცებდა.

— საღამოს დაგვირიგებენ...—საბან წაფარებული ესაუბრებოდა ქალი.—საღამოს მოგვცემენ...

— საღამოს, საღამოს! ხვალ ახალწელია როდისღა რა ვიყიდო?

— გენაცვალეთ, აკი დილას თქვენმა ბიჭმა აიტანა სანოვაგით სავსე კალათა?...

— ეგ რა თქვენი საქმეა?! იქნებ, კიდევ მინდა ვიყიდო?... საღამოს უსათუოდ ამომიტანეთ ქირა, თორემ ...—დაემუქრა სახლის-პატრონი, გადახედა საბან-წაფარებულს ქალს, თითქო ამით რაღაც უნდა მიეხვედრებინაო და გავიდა ოთახიდგანა, იმ იმედით რომ გულის წადილს შეისრულებდა.

ხოლო დედა-შვილი-კი ჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფნი ჰფიქრობდენ: „განა ჩვენთვის-კი ხვალ არ არის ახალწელიწადი“?!...

ს. გლახაშვილი

В. 4-ნაკუთ. № 329.

დღესასწაული

დრამატიული სურათი*)

დ. ნახუცრიშვილი

მოქმედნი:

ნიჭიერება		უფროსი ძმა
ხუროთმოძღ.	მუზა	პირველი
ქანდაკების	„ „	მეორე
მხატვრობის	„ „	მესამე
მგოსნობის	„ „	ქალი
მუსიკის	„ „	და სხვანი
ცეკვის	„ „	მათი დაძმანი
სცენის	„ „	

სცენა წარმოადგენს მინდვრიანს; პირ-და-პირ მოსჩანს მაღალ-დაბალი მწვანე ტყით შეფენილი, მხოლოდ შორს—უკან დათოვლილი მთები: ტყიდან გამოდის გზა და მიდის მინდვრიანზედ; ცალმხრივს სდგას შნოიანი დერეფნიანი სახლი, დერეფნის წინ, მწვანეზე, გაშლილია სუფრა და გარს უსხედან მოინახვენი ქართულს სხვა და სხვა ტანისამოსში, ყველას სახეზედ სიამოვნება და მხიარულება ატყვია.

პირველი. ავიღოთ, ძმანო, ხელში ფიალა
და ვადღეგრძელოთ უხუცესი ძმა!..
(ყველანი ფეხზე დგებიან)
ჩვენს ძმას ეწვია ბედნიერება,
მას დაებადა პირმშო ჩვილი-ყრმა...
გულით ვუსურვოთ, რომ გაზრდილიყოს;
მაისის ვარდათ გადაშლილიყოს;
გვენახოს მისი დავაჟკაცება,
გმირული სული, ფოლადის ნება,
რომ სასახელოდ ჩვენ და ჩვენი ძმის
ქვეყნად გრგვინავდეს სახელი ამ ყრმის!..

მეორე. ვუსურვოთ ჩვენს ძმას გამჭრიახობა,
ჭინკველის სიმხნე, ლომისა გული,
რომ შესძლებოდეს მისი გამოზრდა,
ვით ითხოვს ჩვენგან ხალხი, მამული!

მესამე. ჩემის მხრით მენაც ვუსურვებ ძმასა,
მრავალჯერ გვნახოს აქ შეკრებილი,
ვიხდიდეთ კვლავცა სხვა ძეობასა,
გაზრდილით ვიყვნეთ ჩვენ კმაყოფილი...
გამრავლდეს ვითა ვარსკვლავი ცასა,
აყვავდეს, როგორც ველის ყვავილი...

ყველანი. ამინ!

ქალი. ვაჟის გაჩენა ჩვენს დუხჭირს დროში
მიტომ გვიხარის და გვიამება,—
მშრომელთ მცირე გუნდს, პატარა რაზმსა
ახალი ძალა რომ ემატება.
ვუსურვებ, იყოს სვე-ბედიანი,
მშრომელი მუშა, ხელ-მადლიანი!

ყველანი. ამინ! ამინ!

უფრ. ძმ. ჩემს აღტაცებას არ აქვს საზღვარი,
უაღრესია ბედნიერება...
ძის სიხარულით არ მახსოვს ჭირი
და თქვენს შემყურეს მხვდა ნეტარება!
აწ რაღა გითხრათ
მადლობის სიტყვათ!..
როგორსაცა ვგრძნობ ამ წამს მე ლხენას,
ვერ ვათქმევინებ ჩემს უძლურს ენას...
თქვენ რომ აქ გხედავთ შემოკრებილებს,
ჩემი მშობლისა ვაჟკაცსა შვილებს,
ჯან-ღონით საესეთ, მხიარულებსა,
სიმხნით ძნელს გზაზე მოარულებსა,
მე—უფროსი ძმა—გეალერსებით
და აღმაფრენით მოგესალმებით...
გისურვებთ თქვენცა გამრავლებასა,
გაძლიერებას, აყვავებასა... | გამრავლებასა,

ყველანი. (ერთხმად) გისურვებთ ყველას
გაძლიერებას, აყვავებასა...
(ამ დროს გაჩოჩნდებიან ტეადან მოშავად გზაზე ხელოვნების მუზანი. წინ უძღვიან ნიჭიერება)

ქალი. ის ვინ არიან? სადაურები?
ჩვენს ხალხს არ გვანან უცნაურები!

უფრ. ძმა, მოვიპატიჟოთ, ჩვენი ვალია...

პირველი. თითო მათგანი ქვეყნის თვალია!

მეორე. აქეთ მობძანდით, დაგვეწვიენით...
(ცალკე) მათი სინაზე არ ითქმის ენით...
(ნიჭიერება და მუზები მობრუნდებიან მათთან)

ნიჭიერება. საქებურია გულკეთილობა;
გეტყობათ, გიყვართ ძლიერ სტუმრობა...
ერთი გვიბძანეთ, რა მიზეზითა

---

*) განახლებულ ქართული თეატრის გახსნის გამო დაწერილი, 1908 წ. 19 ნოემბერს.

აქ შეკრებილხართ ეგრე ტკბილადა,
მხიარულება გიკრთით სახეზე
და შეექცევით ღვინოს ხილადა?

უფრ. ძმა. მე ვარ უფროსი ამ და-ძმებშია,
ყრმობიდან ერთად ვართ შეზდილები;
ბევრი დუხჭირიც გამოგვივლია,
ბევრჯერ ვყოფილვართ ამრეზილები,—
მაგრამ გვინახავს მზიანი დღენიც,
ჩვენცა გვქონია სამკალი ყანა...
წავიდა ის დროც... ძმები დავშორდით,
ზოგი შავბედმა შორს გადიყვანა...
ზოგიც ჩემს ახლო მეზობელია...
მე ოჯახსა ვარ მოკიდებული,
საკუთარი მაქვს კარი-მიდამო,
თუმც ღარიბული, შეწუხებული...
ამ მწუხარს დროსა მეწვია ბედი—
გულს ჩამესვენა სვეტად იმედი,—
მეყოლა ვაჟი, მყავს პირმშო შვილი,
მითი გვაქვს შვება, ლხენა-სიცილი...

მესამე დიახ, ჩვენა გვაქვს ეხლა ძეობა,
სამხიარულო რამე ღრეობა...
ამ ბედნიერი დღის მოლოდინში
მე გადმოვლახე ბევრი მთა, ბარი,
რომ დავსწრებოდი ამ დღესასწაულს
და გამეხარა, ვით წესი არი...
ფერეიდანის დამწვარ ველიდან
ჩემს ძმას ვეწვიე და მივულოცე,
ახალ ცხოვრების ნერგი ვუკურთხე,
ჩემს გულსაც ძველი ჯავრი მოვხოცე.

მეორე. მეც კარგა შორს ვარ ძმის
სამყოფიდან,
თუმცა კი გულით მასთან ვარ მარად...
ჭოროხის ზვირთებს ვესაუბრები
და მეჩვენება ის ხშირად მტკვარად.
იქიდან მოველ მოსალოცავად
და ჩვენი აკენის კვლავ სალოცავად...

ქალი. ჩვენ დანარჩენნი აქვე ახლო ვართ,
არა ვშორდებით ერთმანეთს მარად,
ზოგი მთისა ვართ ჩვენ მცხოვრებლები,
ზოგი ზღვის პირად და ზოგნიც ბარად...
დღესასწაული საერთო არის,
იგი ათრთოლებს ჩვენ—ყველას გულსა;
ყრმა ყველასათვის საყვარელია,
ისა გვფენს ნათელს და სიხარულსა.
აი, რად გვხედავთ აქ შეკრებილებს,
მოღიმარეთა და მოლხენილებს...
ეხლა თქვენცა გთხოვთ, შემოუერთდეთ
ჩვენს ღარიბს სუფრას მინდორზე გაშლილს...
უცხო სტუმარი ჩვენს გულსა ნახავს
მის ფიანდაზად უმალ გადაშლილს...

ნიჭიერება. სიამოვნებით შეგიერთდებით,
გავიზიარებთ თქვენს სიხარულსა;
მაგრამ კი გეტყვით, უცხო არ ვართ,—
ნურც გაიკვირვებთ ჩემს სიტყვას თქმულსა...

უფრ. ძმა. შეგვატყობინეთ, ვინა ბრძანდებით,
ნუ თუ მცნობარე თქვენი ვიქნებით?!.

ქალი. საუცხოოა, თუ მართალია!?

ნიჭიერება. დავიწყება რა სამართალია!..

უფრ. ძმა. ჰაეროვანი ეგ გარეგნობა,
სახის სიმშვიდე, თვალთა მზეობა...
და სიკეკლუცე ეგ ჯადოსნური,
შეხედულობა მთავარ-მეფური...
ნუ თუ მართლა ვართ ჩვენ ნაცნობები!
საიდან, როგორ? გვითხრათ ეგები...

ნიჭიერება. ყური დაგვიგდეთ, გეტყვით
ყველაფერს...
არ გავახარებთ თქვენს მოშურნეს, მტერს...
იყო დრო, როცა ჩვენ თქვენს ოჯახში
ისე ვიყავით, ვით ჩვენსავ სახლში;
მაშინ თქვენც სულ სხვა გქონდათ იერი,
გრძნობა არ გედვათ გულს მანკიერი...
მას შემდეგ განვლო მრავალმა წელმა,
და თქვენც შეგცვალათ უკუღმართ ხელმა.
უწინ ქართველის ამაყი სული
შარავანდედით იყო შემკული,
ყველას იცნობდა,
ყველა მას სცნობდა...
ეხლა ვეღარც-კი გვცნობთ ვეღარც ერთსა,
მაშინ გვეძახდით ჩვენ ყველას ღმერთსა!

უფრ. ძმა. რომ არ გვახსომხართ,
დამნაშავე ვართ,
მაგრამ გვითხარით, ვინა ბძანდებით,
და ამ ტკბილ ღვინით მსწრაფლ შევრიგდებით.
(ნიჭიერება და მუზები უფრო წინ წამოდგებიან)

ნიჭიერება. მე მქვიან ქვეყნად ნიჭიერება,
შემოქმედების მშვენიერება;
ვარ ხელოვნების წყარო ცხოველი;
ჩვენით ირწყვება მხარე ყოველი...
ჩვენ ვართ გვირგვინი კაცთა ქმნილების,
გამმხნევებელი დავრდომილების...

ხუროთმოძღვრების მუზა.
მე უდაბურსა და ყრუ ადგილსა

ვაქცევ ქალაქად, უცხო წალკოტად;
დავსდგავ პალატებს, სიცოცხლით სდუღდეს,
გარემოს მოვრთავ ბაღნარით კოხტად.
თქვენთვისაც ბევრი რამ შემიძენია,
ეხლა კი ყველა ოხრად გშთენია...

ქანდაკების მუზა.
აქა-იქ ეძებთ მოქარგულობას,
ძველ ტაძრის სვეტებს იღებთ კალმითა,
და აღარ გახსოვთ, რომ ის ნაქარგი
ნაქანდაკია ჩემი მკლავითა.
მე ვარ ცივ თიხის გამცოცხლებელი,
სინაზის ქვაზე გამომკვეთელი.

მხატვრობის მუზა.
დიდის თამარის ძვირფასი სახე
ვინ დაგიტოვათ სახსოვრად ძეთა?
მე ვიყავ, ჩემი ფერადის კალმით
რომ დაგიხატეთ კედელთა ზედა.
ცხოვრების სურათს ფერად წამლებით
ტილოზე ვწერავ მე გამალებით,
ადამიანის ვხიბლავ გრძნობასა,
რითაც ვბედავ ნამდვილთ მეტოქობასა.

პოეზიის მუზა.
ვის არ სმენია შოთას სახელი?
იმის დიდების მე ვარ მშობელი.
მე ვერ შემბოჭავს რამე საზღვარი,
თავისუფლად ვფრენ შეუპოვარი;
იარაღად მაქვს სიტყვა ცოცხალი,
აზრთ სამთავროა — ჩემი სამშობლო,
ჩემთვის არ არის დაფარული რამ —
თვით ბუნებისაც ღრმა საიდუმლო!
მგოსნის გულია სამყარო ვრცელი
და იმის ჩანგი ხმა-ულეველი!.

მუსიკის მუზა.
როდესაც გული ჭმუნვას მოუცავს,
დარდს გაგიქარვებს ტკბილი სიმღერა,
მოაჯადოვებს სიმთ ჟღერა ყურსა,
გულს ემატება სიამით ძგერა...
ხან შემოსძახებ ვაჟკაცურს მაყრულს,
ხან ურმულს იტყვი, ხან ჩაჰკრავ ჩანგურს...
მე ვარ ნექტარი ჰარმონიისა,
ციური შვება კაცთა სმენისა.

ცეკვის მუზა.
ხშირად მოხდება, რომ ზრუნვის შემდეგ
მხიარულება კაცს მოსწყურდება,—
მართლაც მომხიბლავ სიმთა ჟღერაზე
ცეკვა-დავლური მყის გახურდება,—
და სირინოზის მსგავსი ქალწული
მოარხევს ტანსა სინაზით სრული.
ჯადოსნურს ძალას ჩემსას უზრუნველს
ყველა ემონვის, ვითა სანუკველს.

უფრ. ძმა ბევრი მენიშნა თქვენი ნათქვამი
და მომაგონდა ძველი დრო-ჟამი...

სცენის მუზა.
მე ვარ სასცენო ხელოვანება—
ძველს საბერძნეთის უკვდავი მცნება...
პირს ნიღაბი მაქვს აფარებული*),
თან რომ ვიცინი, მასთანვე ვტირი...
ცხოვრებაშიაც ხომ არეულია
დარდი-სიცილი, ლხენა-დუხჭირი.
ცხოვრების ვარამს დაუფარავად
კაცის თვალ წინა გადავშლი ცხადად;
მივიწყებულსა გულის სიღრმეში
თქვენ ჩაგახედებთ, ვითა სარკეში...
ჩემის ნაშრომის ნაყოფით სტკბება
მრავალი ხალხი და ეროვნება...
დიდს პატივს მცემენ, თავს მევლებიან,
ჩემის ნაღვაწით სპეტაკდებიან...
დღეს დღეა ჩემი სახელწოდების,
გვექნება დიდი ვაშა-დღეობა;
მომილოცავენ და შემამკობენ,
რითაც მემატება უფრო მხნეობა.
იმ უცხო ჩემთა პატივმცემელთა,
თუ მოისურვებთ, თქვენც შეუერთდით;
გვეწვიეთ, ნახეთ დღესასწაული,
ამოუდექით, თქვენაც იმათ გვერდით...
და მათთან ერთად წინსვლისა გზაზე
იარეთ მხნედა და ადით მთაზე.

ნიჭ. ხომ თანახმა ხართ, რომ წამოხვიდეთ,
იმონაწილოთ დღესასწაულში?

უფროსი ძმა. სიამოვნებით ვისწრაფვით ყველა,
თქვენთან წამოვალთ თუნდა უფსკრულში...

ყველანი. სიამოვნებით ვისწრაფვით ყველა,
თქვენთან წამოვალთ თუნდა უფსკრულში.

ნიჭიერება. აბა, წავიდეთ, ჩვენ წაგიძღვებით...

ყველანი. შეუჩერებლივ ჩვენც გამოგყვებით.

(უფროსი დერეფნიდან იღებს დაფნის გვირგვინს; წინ ნიჭიერება წავა, მას მუზები მისდევენ; მერე უფროსი ძმა გვირგვინით ხელში და მას დანარჩენნი გაჰყვებიან)

---

*) ძველად საბერძნეთში მსახიობი სცენაზე იღაბ-აფარებული თამაშობდა.

ანეთეოზი

სცენა წარმოადგენს საოცნებო რამ უცხო წალკოტს; შუაზე კვარცხლბეკია, რომელზედაც სდგას სასცენო ხელოვნების მუზა, თავზე დაფნის გვირგვინით და ყვავილებით შემკული, გარს უდგანან დანარჩენნი მუზები, ისინიც დაფნის გვირგვინებით. რკალად არტყია ხალხი უმთავრესად ევროპიულს ტანსაცმელში გამოწყობილი.

ნიჭიერება და ძმები წინა სცენაზე დგანან, მცირე ხნის შემდეგ ნიჭიერება უჩვენებს სასცენო ხელოვნების მუზაზე; უფროსი ძმა მიუახლოვდება და გვირგვინს მის ფეხთით დასდებს მოწიწებით.

ნიჭიერება მუზებთან დაიჯერს ადგილს. დამსწრენი ტაშს უკრავენ და ვაშას უძღვნიან მუზას. (ამ დროს გუნდი დაიწყებს სიმღერას):

ცხოვრება ტანჯვის ხნულია,
ვაებით ნაფარცხ-ნათესი,
მაგრამ შიგ ხელოვნებისა
სხივია იმედ-ნაკვესი.
ის ატკბობს გულსა, დასცურავს
ოცნების ზღვაში გონება,
ტანჯულს სულს ხელს ვერ შაეხებს
სოფლის დარდი და ღონება.
ვარდ—ბულბულია ნაზ გრძნობის
ის ბულბულია ნაზ გრძნობის,
გულის ცისკარი-შვენება...
ამა ქვეყნიურს სამოთხეს—
ვაშა მას, ქება-დიდება!..

დ. ნახუცრიშვილი

საახალწლო —!?

ქართულ თეატრს.

მითხარ, როდის კაადვიძებ?!

ჩვენი დროის მსახიობს.

რომელს უფრო ეთაყვნება: მელპომენეს თუ მაჩარას?!

ახალგაზდა მსახიობს.

უშრომელად, გულგრილად ვინ იყო რომ წინ წავიდა?!

თბილისის პრესას.

საპარადო ანკარიშებს როდემდის გსურს ემსურო?

ქართულ ჟურნალ-გაზეთებს.

საკუთარი გზა და კვალი. როდის უნდა გაიარო!?

ახალგაზდა მგოსნებს.

როდის მოსპობთ ტრუმლთა ფრქვევას,
და ერთს ჭანგზე ჩანგის ყღერას?!

ქართველ დრამატურგთ.

ცხოვრების გულს რის ჩახედავთ?!

ქალაქ. გამგეობას.

ბნელ ქუჩებში ნეტა როდის გაანათებთ?!

თავ.-აზნაურებს.

მაწა-მამულს რომ ჭიდავნაკეთ..
ცხოვრებისა სადა ჭიქრობთ?!

გლეხკაცობას.

ნეტა როდის უნდა მიხედე,
რომ თავს თვითონ უპატრონიო?!

ჩვენს ქალებს.

„თამარ“, „ნინო“, „ქეთევან“-ის
სახელებსა რად ატარებთ?

ჩვენს მწერლებს.

პირს წყალი ვინ ჩაგეყენთ?!

ზოგიერთ რეცენზენტს.

რეცენზია რასა ჭქვიან?!

ქართველ ბრწყინვალე ბობოლა ჩინოსანთ.

ქართულ თეატრს გზა სათა აქვს?!

ზოგიერთ რედაქტორს.

თქვენს გაზეთსა კითხულობთ კი?!

ზოგიერთ რეჟისორს.

რეჟისორსა რათვის ირქმეგ!?

ჭინკა

ვეილო�ა ვურულმა

კალანდაა, ღმერთმა ყველას ტკბილად გაგითენოთ! ინათა თუ არა, გამოეღვიძა სილიბისტრო თავართქილაძეს...

— ოჯო, კესარია! მრავალს დაგასწროს ღმერთმა და წმ. ბასილეს მადლმა დღევანდელ დღეს და, დრო ქეა გალოცვის...

— რას მიჩივი სილიბისტრო, თუ გალოცვა გინდოდა, სა იყავი ცხემლის ჭრა საღამოს, აღარ დეეძინებდი და...

— შენ არ მომიკდე, ჩემს ჩვეულებას ოჯულზე ემტკიცესს არ გადაუხვიო... აბაა!!. გამოაღვიძა მთელი ოჯახი... დაბზიალდა დიდი-პატარა, სახე ყველას უბრწყინავდა... ეიღო ჩიჩილაკი, მოგეცა ნაჩუქარი კონსტიტუციის

წყალობა, ძაან გაწყობილი იყო სურო და კურკანტელაით წმ. ბასილეს წვერები. მაცხოვარს სანთელი ენთო, ეკმიათ საკმიელი. ხატის წინ გაეშალა კესარიას სუფრა, შემკობილი, ტკბილოულობით, სასმელებით და ღორის თავით...

გეექანა მარანზე გასალოცავად...

ყინავს, თოვლით გადაფენილია არე-მარე... დაასო თოვლში ჩიჩილაკი, დაასვენა სუფრა, თაფლის სანთელით გაჩაღებული, ააპყრა ცას თვალები და გეილოცა: ღმერთო და წმ. ბასილეს მადლო, შენ იყავი ჩემი ოჯახის შემწე, მომადლე სიწყნარე ქვეყანასა ამას, კისერი მოსტეხე დაყენებულ მამასახლისს ინგუშებით და მექთამე ბოქაულს...

მომეც: ჭკუა, გონება—მოხერხებისთვის, თვალ-მარგალიტი და ხაზინა მონობისაგან განთავისუფლებისათვის, ძალი და ღონე—გამკლავებისათვის, მოლხენა—გბმარჯვებისათვის...

იყოს, ჩვენი ვსვათ და ჩვენი ვჭამოთ, სხვებმა ჯვარი დამიწერეთ და ეგრიალა მაჭახელამ...

გეილოცა სილიბისტრომ და გახარებულმა გაექანა ოდისკენ, შედგა საკვალის ხიდზე, ფეხი დოუცდა, ყეყეა მოადინა ღელეში. დასველდა, გაყინდა კაკალი კაცი... გაეშურა ოდის კარებისაკენ...

— კარი გამიღე?!

— ვინ ხარ, რა მოგაქვს?!

— ჩვენი სირცხვილი... დამარცხება—ერთობისა, მათრახები—სტრაკნიკებისა, ეგზეკუცია—კონტიტუციისა, ბეგარა და ჯარიმები—ღუბენატორის და სიძლიერე რეაქციისა...

— კარი გამიღე!!

— რა მოგაქვს?!

— ოზურგეთი და მისი ავლა—დიდება: ბებურა—ქალაქის თავი, ერისთავი—უპაციენტოთ, ხუნდაძე—უაფთექოთ, მელიტონ—რეალნი გიმნაზიით, გორგასლიძე—მისი მსხვერპლი მასწავლებლებით, ცარიელი ბიბლოთეკა—ოთხი კედელით, დრამატიული საზოგადოება—უთეატროთ, ქუ-

I ობიექტების განხილვა **ჩვენებური საქმიანობა** II საქმეთა აღსრულება

— აქედ მობრძანდით, ბატონო, ქვეყნის საქმეა გასაკეთებელი და ლამის...

— რას მიჰქარავ, ნადირი, რა დროს საქმეა, სიტყვა მაქვს სათქმელი... ხომ აქ იხილავენ პროექტებს?—მერე სხვა კრებაზე მიმეჩქარება

— ?!...

— მაშორე ღმერთო: სასტიკი ნაჩალიკი და მისი ღუბერნატორი, უნაყოფო რევოლუცია და წყალ სანაყი დუმა, ვოსტორგოვი და მის გვარი სამღვდელოება, პურიშკევიჩი და მოძმენი მემარჯვნეები...

აგუნაა, აგუნაა, ჩვენი ქვეყანა ჩვენთვის ჩები—უფარნოთ, ვაჭრები—უთავოთ, საპარასკეო და ათისთავი გიტო!!

გავყინდი, ოჯო, კარი გამიღე!!

გეიღო კარი...

— რა მოგვივიდა სილიბისტრო?!

— ძველმა წელიწადმა გამყინა და ახალმა გათბობა მომთხოვაო...

ბიჭი-ბიჭი

ფილოსოფიური ლექცია

(შარჟი)

ბედნიერია ქუთაისი!
ლიტანიობს უხიმერიონი!
ზენაარ ძალთა მოუვლინეს სასწაული კოლხიდის ლალს!
ზუალს მოსწყინდა ღმერთთა შორის!!
და
მეტაფიზიკა - სიმვოლისტურ - სპირიტიულ-იდეალისტურ-მისტიკა - ტელეპატიურ - ხეთქილებით
გამოუქროლა ფაზისის ასპიროზებას.
რათა დამღეროს მათი სიკეკლუცე და სინარნარე.
მათ სიმშვენიერეს და ეთეროვნებას დააჟღეროს ღვთიური ჩანგი.
ხოტბა შეასხას მათი გონების არარაობას!
ადიდოს უაღრესობა და სიდიადე მათი ამორალობისა.
თავბრუ დაასხას ნეტარი სიცალიერის ხატებითა!
და
გახვიოს ისინი იდუმალ გენიალობის მორევში და ამაღლდეს მათთან ერთად ასექსუალთა ემპირეიაში. **ბიჟი-ბიჟი**

სადღესასწაულო მოგზაურობა

„დღიურ სიცხადით გულ-დაჩაგრულმა“ ოცნების სამეფოფოს მივმართე, ფრთები გამოვისხა და... ფრთა ფრთას შემოვკარი, დრუბლების ზეგით მოვექეცი: იქიდან თვალი გადავაგდე ძირს მოქოთქოთე წარმავალ წუთი-სოფელს! ძველი წელიწადი სულს აძლევდა, სუკეთეთა მომდინარეობის ემატებოდა... მეკონა, ხალხი დამკლოვიარებული იქნებაა,-მეოქი... მაგრამ თქვენც არ მოშიკვდეთ: ეგელას სადღესასწაულო ადტაცება ეჩნეოდა: — ძღიეს არ მოკვეშრდა!.. წეეულიმტ იეკე შეჩვენებელო, ბორბტების მფრქვეველოვო!

მოისმოდა.

— სიმისო რა ფაშვა?—კეფიფიქრე ჩემთვის და სოფელ-ქვეყანას ჩამოვუარე...

ვესტუმრე სქართველოს დედ ქალაქს, კავკასიის გონებრივ—ქონებრივ-უფლებრივ შუაგულს, თბილისს! ტოტახანს დავუკვირდი და რა არა ვნახე?—პირველი: ეგელა წოდება-ხელობის კაცს ბირზე ღიმი უკრთოდა, სასხალწოდ ემზადებოდა, ტოლშვილში სიხარულით მიდიოდა, ზოგს რა ეკვრნა, ზოგს—რა, მხოლოდ ქართველი აქტიორი იდგა კაბუტულიეთ, თითქო ამოდახა ორომტრიალში მონაწილეობას არ იღებსო, ამრეზილი იყო, გულ-დაწეეტილი, უგროშკაპეიკო: ეჰ, წუთისოფელო!—თითქოს ამას გამოჭეხტავდა მისი სახე,—წარსულმა წელმა შხამ-გესლი შემასვა, წელში ოთხად მომხარა, დეკმა ბური გამიწეეტა, რეპერტუარი გამიჩანგა, კანა გამიფიტა, მაეურებელი გამიგულტრეა, გადამბირა! ეჰ, ეჰ, ეჰ... ვინა ხართ დეთისხეერი, მიშველეთ!... ბული ამემდვრა: ქართველი აქტიორი წეწეს არის შეჩვეული —შეოქი და იმაგე წამს სხვა კრებულში მოვეე... მეორე—ვნახე ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი... შეეხიერად დართულ - კაპიწკინებული ქალ-ურმანი, ანთოლებით ადჭურვილნი. ბეგრს... კამთოობდენ: არა ჩემი სიტეეა უნდა გავიდეს, არა ჩემიო. არა მე უნდა ვიეო სახალხო საქმის სათავეში, არა მეო!.. თქვენ ბეტრეს მიანდეთ საქმე? მაშ კარგი, თუ ის ამას კაკეთებს, და ეს ულვაში მომპარსეთ! ხვალიდანვე გაზეთში ისეთი „ბახადი“ გამოგიცხადოთ თქვენცა და ბეტრესაც, რომ თუ რამ დავორები მოგეგბოებთ—სულ დაგეფუტოთო...

სადც ჩვენ არა ვართ—იქ არაფერი კაკეთდებაო!—თითქოს ამას გამოხატავდენ მთი თვალები.

რა გაკეთეთ მთელი წელიწადი, ლაუბობდით, კამოოობდით, სხვა ხომ არაფერი. — ამ ძველ წელიწადს თქვენც უნდა გაჭეკეთ, რომ კარგი იყოს, აჭა, თქვე უქსარებო, თქვენ!.. უთხრა და კიდევ შეუგურთხა...

ბირი ვიბრუნე.

მესამე: დედ ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოსახეთო,—მომგონდა ეს ანდაზა და ქართველ ოჯახში შევიეეტე... დმერთო ჩემო, რა დაგინახე. სწეალი მამა შვილსა რაზგავდა: ძღიეს ერთი კაკარდა მიეიკარ, მუნდირი ჩაიცვი და თქვენ მიბუტეიანებთო, თქვე გასაგის გასაწეეეტნო; როგორ კაბედეთ და კაკარდ ტალახში გადამიდეთ, რას მეტეეის უფროსი, ეს რომ გაიგოს, სირცხვილით როგორ ვეჩვენო? ამას კარდა ხვალ ქართულ თეატრში სადღესასწაულო წარმოდგენაში როგორდა ეკიდეთ... ცოლი კი ქმარსა სათთხვდა: ემანდ ხმა ჩაიგმანდე და **ქართული თეატრი** ადარ მახსენო, თორემ ან გაგეურება ან და თავს მოვიკლავო... ეგ რომ კაგიგოხთნ, ხომ სამსახურადს დაგთხოვეს, რომ არც დაგთხოვონ, ხომ გისაეეედურებენ: ააა, პიოტრ ვარდასმაჰ! პატრიოტობაც დაიწეეო!.. მაშინ, მაშინ, რა უნდა უთხრა, შე არ დასაცალე�დეო, შენს!... აბა, თუ იმდენი იფირქო, ჩქარა ბეხსაა დაიმსახურო!... მაგრამ რა: არა შეჯდა მწეერი ხესა, არა იეო კვარი მისიო! — სთქვა, გაკეურთხა და ბუზდუნაი კაბრუნდა: ნეტა ამ წელსვე დაკეურდა გულზე მიწაო!.. **ჭიტა**

1910 წლის 2 იანვრიდან გამოვა
ახალი კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო სათეატრო სურათებ. ჟურნალი
თეატრი და ცხოვრება
წლით 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. თითო № 10 კ. ხელის მოწერა მიღება დრ. სახ. კანტორაში ი. იმედაშვილთან.
ადრესი. Тифл. ред. жур. „Театри да Цховрэба“.
რედაქ.-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

Отдѣленіе скоропечат. „Прогрессъ“ Дворцовая ул., домъ груз. Дворянства.